ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1702833

ნომერი: AR1277907

თარიღი : 20.01.2015

გაცემის თარიღი : 27.01.2015

გაცნობის თარიღი : 28.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 35ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ასათაშვილი პ/ნ 01007003262
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 102

ორგანიზაცია:

- შპს''ენერგო'' კოდი: 208153415

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ ღობეზე კარის და წინამდებარე ტერიტორიაზე შესასვლელი სამანქანო გზის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილი #35ბ–ში, შ.პ.ს „ენერგო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეზე კარის და წინამდებარე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, შესასვლელი სამანქანო გზის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „ენერგო“–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკაადსტრო კოდი N 01.19.21.001.204. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882014389240 25/07/2014წ; საქართველოს სახელმწიფო დაცის სპეციალური სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის წერილი; ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი; ესკიზური გეგმა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილი #35ბ–ში, შ.პ.ს „ენერგო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეზე კარის და წინამდებარე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, შესასვლელი სამანქანო გზის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ გზის მოწყობა უნდა განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო დაცის სპეციალური სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის წერილში და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებაში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge